საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაღრაძე დავით ელგუჯას ძე

დ. მაღრაძე

მაღრაძე დავით ელგუჯას ძე (დ. 28. VI. 1962, თბილისი), პოეტი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2005). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1984). მუშაობდა ჟურნ. „ნიანგსა“ (1984–85) და „მნათობში“ (1985–91). იყო თსუ-ის მეცნიერი თანამშრომელი (1991); გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ მთ. რედაქტორის მოადგილე (1991–92); ქართული პენცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1991), ამავე ცენტრის პრეზიდენტი (1997–2013); ჟურნ. „ცისკრის“ მთ. რედაქტორი (1992); საქართვ. კულტურის მინისტრი (1992–95); მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (1999–2002); პირველი კრებული „გულო, ჩადექ საგულესა“ გამოსცა 1984. არის საქართვ. ახლანდ. ჰიმნის ტექსტის შემდგენელი. მ-ის პოეზია თარგმნილია გერმ., ინგლ., ფრანგ., უნგრ., რუს., იტალ., ჩერქეზულ, შვედურ, თურქ., არაბულ, ესპანურ, აფხაზურ, ოსურ ენებზე.

მიღებული აქვს ჯილდოები და პრემიები: ღირსების ორდენი (2005); რომის პაპ ბენედიქტ XVI-ის ევროპის საერთაშ. მედალი კრებულისთვის „Salve“ (2006); იტალიის სახელმწ. პრიზი „ანასილაოსი“ (2014); ჯ. ლეოპარდის პირველი პრემია – ოქროს მედალი წიგნისთვის „ექო“ (2016); სალვატორე კუაზიმოდოს საერთაშ. პრიზი ლიტ-რის დარგში განსაკუთრებული წვლილისთვის (2017); იტალიის სახელმწ. უმაღლესი ჯილდო – ვარსკვლავის ორდენი (2018); დანტეს ოქროს მედალი (2019). გაიმარჯვა ებოლიში (იტალ.) გამართულ პოეზიის მეხუთე საერთაშ. კონკურსზე (2011). ამავე წელს დასახელდა ნობელის პრემიის ნომინანტად ლიტ-რაში.

თხზ.: მარულა, თბ., 1987; შანდლის ასული, თბ., 1990; ლექსები, თბ., 1994; გახუნებული აფიშა, თბ., 1998; კულტურა–მეფური ნაკლი, თბ., 2001; ნიკალა, თბ., 2002; ქარი ფოთლების ბილეთს არიგებს, თბ., 2006; შეჩერდი, წამო! თბ., 2008; შენთვის, თბ., 2008; ჯაკომო პონტი, თბ., 2012; სარკმელი, თბ., 2014; Ave, Eva, თბ., 2017; უსადაურო, თბ., 2018; ბარაქიანი მიწა, თბ., 2020; მეტაფიორა, თბ., 2021.

ს. მეტრეველი